დანართი №1

ინსტრუქცია

1. წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით და წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განუყოფელ ნაწილს.
2. მოსაკრებლის განაკვეთი (ოდენობა) ახალასაშენებელი ობიექტის პროექტისთ გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს 4 (ოთხი) ლარით.
3. რეკონსტრუქციის შემთხვევაში (მათ შორის პროექტის კორექტირება) რომელიც იწვევს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაზრდას. გაზრდილი საანგარიშო ფართობის კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს 2 (ორი) ლარით.
4. ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა; II კლასის ობიექტისათვის განისაზღვროს 50 ლარით; III კლასის ობიექტისათვის 200 ლარით, IV კლასის ობიექტისათვის 400 ლარით.
5. ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს ერთი ლარით. გარდა, პირველ კლასს დაქვემდებარებული ხაზობრივი ნაგებობებისა.
6. მოსაკრებლის (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი
7. ,,ლიცენიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ემუხლის მე-4 პუნქტის ნორმების შესაბამისად, ნებართვის მაძიებლის მიერ სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის (ქვითარი) წარდგენა უნდა მოხდეს ნებართვის მიღებაზე გაცხადების წარდგენისას.
8. მოსაკრებლის გადახდა წარმოებს საბანკო დაწესებულების მეშვეობით და იგი ჩაირიცხება (მთლიანად) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე. 1. მიმრები ანგარიში- ბიუჯეტის შემოსავლების ერთიანი ანგარიში -N200122900 2. მიმღები ბანკი-ხაზინა 3. ბანკის კოდი 22101222 4. ბიუჯეტის შემოსავლების სახაზინო კოდი 300183090-მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის.

9. იმის გამო, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემას აწარმოებს ააიპ ,,ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო“, მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის მობილიზებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სააგენტოს.